

# საქართველო

ISSN 0132-6015

4

საქართველო

ნახ. ჯ. ლომუხანი



— როგორ მოახერხე უპატიოსნო შრომით ამდენი სიმდიდრის შექმნა?  
— როგორ და, ათი წელი „პატიოსნად“ ვიჯექი!

იმოდენა მესტია,  
არც ნაკლები, არც მეტია.

ს ა ლ ს უ რ ი

დღის, მესტიის რაიონი მცხოვრებთა ოდენობით სწორედ იმდენია, რამდენიც ამ ნახევარი საუკუნის წინათ იყო. ყბადაღებულმა ურბანოზაციამ, საუკუნის ყველაზე დიდმა პრობლემამ — მიგრაციამ, ვერა დააკლო რა კლდეთა ჯავშანში ჩასმულ ამ დიდებულ კუთხეს. სვანის გორიზმა ბუნებამ დაამარცხა უგზობა, კულტურული და გასართობი კერების სიმცირე, ბუნების სიმკაცრე და სხვაგან მავანთა მიერ გადაუჭრელი პრობლემად ქცეული ცხოვრებისეული წერტილი მათ თუ მსხვილმანი გასაჭირი. აქ ვერ ნახავთ მიტოვებულ მაჩუხს, ჩამქრალ კერიას, მოშლილ ოჯახს.

რესპუბლიკაში ნეგატივიზმის წინააღმდეგ გაშლილი ფრონტით შეტევის პერიოდში, 1974 წლის 13 აგვისტოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება მაღალმთიანი მესტიის რაიონში საშუალო და კულტურული აღმშენებლობის დაჩქარების შესახებ. დადგენილებას სასურველი შედეგი მოჰყვა. მწყობრში ჩადა ჯვარმესტიის მოახფალტებული საბანქანო გზა — აღსრულდა სვანი კაცის დიდი ხნის ოცნება; თითქმის ყოველ ოჯახში აკიაფდა ელექტროლამპიონი, ტელევიზორი კი ისე გამართულად უჩვენებს, ლამის თბილისელები იქ ავიდნენ საინტერესო გადაცემების სახილველად. თუმცა...

რალა თუმცა. თეთრ ფონზე რომ შავი ლაქები უკეთ ჩანს, ესეც ცხადია და იმ მნიშვნელოვანი დადგენილების შესრულებაშიც გამოკვეთით გეჩრება თვალში ხინჯი და ნაკლი. რაიონის მშრომელები და ხელმძღვანელები ხედავენ ამ ლაქებს, ძალას არ იშურებენ მათ აღმოსაფხვრელად, მაგრამ ბევრი რამ მათ შესაძლებლობებს აღემატება, დახმარება-თხოვნის არზება კი რჩება ხმად მღაღადებისა უდაბნოსა შინა, რამეთუ ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში თუნდაც ზრდილობისათვის პასუხის მიწერაც ავიწყდებათ რატომღაც.

### უპასუხოდ დარჩენილი მსახამ წერილი საქართველოს გაგაგაოზისადმი

„უკანასკნელ პერიოდში, მიუხედავად ჩვენი მრავალმხრივი თხოვნისა, რაიმე საკითხის საბოლოო გადაწყვეტას ვერ მივაღწიეთ.“ — წერია მიმდინარე წლის 29 ივნისით დათარიღებულ კორესპონდენციაში; „...ნუთი წელია ვითხოვთ.“

ჩამოთვლა თერთმეტი მუხლისაგან შედგება. მასში რაიონისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ობიექტების აშენების დაჩქარებას ითხოვენ. ესენია: პურის საცხობი ქარხნის, კარტოფილსაცავის, ლიმონათის ჩამომსხმელი სააქროს ჯვრაც დაუწყებული თუ გაჭიანურებული მშენებლობა, კერძო სახლებიდან მაღაზიების სპეციალურ შენობებში გადატანა, ტრანსპორტის გამოყოფა, ასორტიმენტის შეჩვენება...

წერილი მთლიანად სამართლიანი და ამაღლებელი ტონით არის შედგენილი და, ცოტა არ იყოს, უიმედოდ მთავრდება: „დაბეჯითებით ვთხოვთ ზემოჩამოთვლილ საკითხებზე იქონიოთ მსჯელობა თავად ან ჩვენი თანდასწრებით, თუ ჩვენი მიზნით სდება რამე შეფერხება, გავკრკვთ, არადა გვასწავლეთ, თუ რა გზით აღწევნ სხვა რაიონები თქვენთან შედგვიან თანამშრომლობას“.

ეს წერილი უწყების კანცელარიის 99-ე თაროზე ინახება, ალბათ სქელ საქალაქეში ჩაკერებული, პასუხი კი?..



### წერილი წერილი (რა თქმა უნდა, უპასუხოდ დარჩენილი) სასოფლო მშენებლობის სამინისტროსადმი

„გვინდობს ექვს თვეში 1600 ათასი მანეთის მოცულობის სამუშაოებისაგან შესრულებულია 361 ათასის სამუშაოები; ექსპლუატაციაში გადასაცემია 9 ობიექტი, მათ შორის სამი სკოლა (?), კავშირგაბმულობის სახლი. მიუტევებლად ჭინურდება საავადმყოფოს მშენებლობა. სამშენებლო მასალების მომარაგებაში არსებული ჩავარდნების გამო გვიძნელდება მუშახელის დასაქმება...“

წერილის ავტორები იშველიებენ საკმაოდ ავტორიტეტული ორგანოების თანადგომას და ერთხელ კიდევ შეასწავლებენ სამინისტროს მესვეურთ, რომ რაიონის მშენებლობებთან დაკავშირებული ყველა საკითხი შემუშავებული იყო სამინისტროს საწარმოო პორტეფოლის გათვალისწინებით და ამოცანის გადაჭრას არაფერი უნდა ედგას წინ.

„თქვენი სამინისტროს ავტოსატრანსპორტო გაერთიანების უფროსი ო. თოიძე კატეგორიულ უარზე დადგა მომსახურება გაეწია მესტიის მოძრავ-მექანიზებული კოლონა 64-ისათვის. მისი ჩარევის მეშვეობით ჩვენი რაიონისათვის ავტოსატრანსპორტო მომსახურების გაწევა გადააბარეს ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებას, რომელიც კანტიკუნტად გვემსახურება და ისიც შაბათ-კვირას...“

როგორც იტყვიან, მსგავს შემთხვევაში კომენტარი ზედმეტია, თუმცა ძნელია თავის შეკავება. ვინ უბოძა სასოფლო მშენებლობის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსს ამს. ოთარ თოიძეს მოქმედების ამგვარი დიაპაზონი ან ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო უფროსი ამს. გრიგოლ ნარმანია რომელი ქრისტე-მესიაა, რომ მესტიის რაიონისათვის მხოლოდ შაბათ-კვირას იმეტებს წყალობას?!



### წერილი წერილი (უპასუხოდ) განათლების სამინისტროსადმი

„...ავარიულ მდგომარეობაშია უწერილნი მასწავლებლისა და ნაკრის რეაგირების სკოლები. ეს სოფლები ახლომდებარე სკოლებიდან დაშორებულია 10-15 კმ და მათ შორის საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ მოძრაობს. განსაკუთრებით მძიმე პირობებშია მასწავლებლის სკოლაში. იგი აგებულია 1930 წელს, არის ერთსართულიანი, გადახურულია ყვებით, კედლები დახეთქილია და ზამთარში, როცა თოვლის სიმაღლე ერთ-ნახევარ-ორ მეტრს აღწევს, იფარება ფაფრები, ხოლო ნაღობი წყალი საკლასო ოთახებში შედის... აქ 134 (!) ბავშვი სწავლობს... ჯერ კიდევ გასულ წელს გახალსებულ ამ სკოლის შესახებ წერილი და ზემოაღწერილი ფაქტების აღმუშავების სურათები, მაგრამ არსებული არ მიგვიღია“.

აქ კი მართლაც რომ შეუძლებელია რაიმის თქმა, უთქმელობაზე რომ არ ვგებო? ერთი სიბრძნისა არ იყოს, „ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობასო“, მაგრამ თქმით ჩვენ კი არა, განათლების სამინისტრომ უნდა თქვას, მისგან უპირანიც იქნება.

### რაგაგაოზი სტრიქონი სიზუსტისათვის

ჯვარ-მესტიის გზა ვახსენეთ, სვანი კაცის ოცნების ახდენაც ვუწოდეთ ამ გზის კეთილმოწყობას, ორი წლის წინათ სასკოლო მოწყობის მნიშვნელობის მშენებლობასთან დაკავშირებით ამ გზის ხელახალი რეკონსტრუქცია დაიწყო „ენგურპეისის“ — სამმართველო. კეთილ საქმეს წინ ვინ გადასდგომია, მესტიელები რომ გადაღობებოდნენ, მაგრამ გზის გაჭიანურებული რეკონსტრუქცია, რომელსაც „ენგურპეისის“ სპეციალური საგზაო სამშენებლო სამმართველო ეწევა (უფროსი ზ. ძოწინძი), ერთიორად აფერხებს მაღალმთიანი რაიონის ტრანსპორტით მომსახურებას!

სწორედ აღნიშნულ სამმართველოს არ უნდა დაეაიწყდეს, რომ საავტომობილო გზა 20 ათას მცხოვრებელს მესტიის რაიონისათვის სასიცოცხლო არტერიაა.

ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში მისი უფროსი გრიგოლ ნარმანია ვერ ვნახეთ, მის გარეშე კი არ ისურვეს საკითხზე პასუხის გაცემა.

სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო გაერთიანების ცხაკიას სატრანსპორტო საწარმოში წერილში მოყვანილი ფაქტის კორექტირება სცადეს: ჩვენი გაერთიანების უფროსს მთლად არ უარუყვია მესტიის რაიონის მომსახურება და ზუგდიდელ მეავტომობილოთა იმედად არ დაგვივიდათ.

— განაგებია, მაგრამ ერთი საკითხი გვრჩება პასუხგაცემით: პირველიდან 16 სექტემბრამდე თქვენს ავტოსატრანსპორტო საწარმოს მესტიის რაიონის მშენებლებისათვის 3 თვითმწვდიდან, 1 ხისმწვდიდან და სიმკარშიფიდან არც ერთი მანქანა არ მიუწოდებიათ რაიონისათვის, ამაზე რას იტყვიან?

დუმილი არჩივს ამ კითხვაზე. პასუხგაცემელი რჩება ამავე სამინისტროს ცხაკიას № 5 სამშენებლო ტრესტისადმი დასმული რამდენიმე კითხვა, მათ შორის: როდის უნდა დასრულდეს 3 წლის წინათ „საექსპლუატაციოდ გადაცემული“ ტუბერის მასწავლებელთა სახლის მშენებლობა? 1982 წელს დასამთავრებელი იცის საშუალო სკოლა, პიონერთა ბანაკი და კავშირგაბმულობის სახლი?..

დავით ასპურაძე



... აღმიანები ასევე ჩივიან, რომ ახალ ბინებში შესახლების შემდეგ კველადრის თავიდან კეთება თავად, საკუთარი სახსრებით უხდებათ, რაც თითოეული ოჯახის ბიუჯეტის სოლიდურ ნაწილს შეადგენს.

— როგორ მოეწყვე ჩემს აშენებულ ბინაში?  
— მოწყობილი შენ ხარ, თორემ მე რა დღეში ვარ, კი მხედავ!

### ახალი ბინა მივიღე!

ბინა მივიღე! გავკეთდი! — მერგო მეექვსე სართული! ჩეხურ პროექტით ნაშენმა გული მატკინა ქართული!..

გამოსაცვლელი დამირჩა კარი, ფანჯარა, პარკეტი, კედელს, მოღრეცილს, ორი თვე მოგრეხილ კისრით ვანგრევიდი!..

სანტექნიკს ბლომად მივეცი ფული, მიღები, რკინები!.. გადამერია ცოლი და გადამერივნენ შვილები!..

ლოჯი უროთი დავლეწე, კედლები ახლად შევვაჯე და დანგრეულ სახლს დაღლილი, როგორც ლურჯა ცხენს, შევაჯექ!

ერთ წელს აშენა ოსტატმა ბინა, ჩემს მიერ დამლილი, ჩადგა ახალი „ძველში“ და დამტოვა წელში გაშლილი!..

ნუ გამასხენებთ იმ ცუდ დროს! ეჰ, ფულებს რად არ ვუვლიდი?! „ძველი“ ბინიდან რა დამრჩა? — ახალი რადიკულიტი!

ჯეგალ კვერინილაძე



— კაი, ბატონო, თუ მარტო ეს ამახინჯებს ფასადს, ჩამოვხსნი!

# კანონების კანონები?

## იუმორისკა

- როგორ გეხმით თქვენ პასუხის-მგებლობის არსი?
- პირველ რიგში, ეს... ეს... ეს ნიშნავს სამსახურიდან ზუსტად წასვლასა და მოსვლასაც!
- სწორია! შემდეგ?
- დავალბათა შესასრულებლად ყოველმხრივ ბრძოლას!
- ოპო, ჩინებულია, მაგრამ თავად რომ სულ სხვანაირად იქცევიო?
- მე?!
- დიას, თქვენი!
- მაინც რას ვაშავებ, რატომ მჩაგრავთ საქმეს დაწაფებულ მუშაკს?!
- მთქნარება საქმეა?
- არა!
- კაბინეტიდან კაბინეტში სირბილი?
- არა!

- ინტრივა?
- ?!
- მაშ?!
- მაშ, მთელ დღეს მძინავს, ხომ?! რომანებსაც ვკითხულობ თურმე!..
- ვინ გაგიბედათ ასეთი ცილისწამება?!
- შენ!.. შენ!.. შენ!..
- მე სხვანაირად ვთქვი, ბატონო! პირიქით განვაცხადე!..
- ბრძანებით გამოგიცხადებ საყვედურს და იჭიჭიკე!
- „თავო ჩემოსაც“ მიმღერებთ თუ?
- გაცილებით უფრო მწარე რეკვიემს, საოცრად მინორულს!
- თქვენი მინორა რა შუაშია, თავად არ გამგზავნეთ იმპორტული ლურსმნებისათვის?!
- რა მექნა, როცა მოხსენებას ვწერდი დისციპლინის საკითხებზე?! ისეთი აზრები მომივიდა, წყალიც არ გაუვა, ეს კი არა, თავის მოფხანის საშუალებაც აღარ მოგეცემა!
- ნუ დამღუპავთ, არისტოფანის! თქვენც ავგიანებთ სამსახურში და კარ-

- გი იქნება, „ანონიმკა“ ვაფორინო იქ სადაც ჯერ არს?
- დემაგოგო! იცი, რა? ნაზავ საქმეთა მმართველს, უტყვი, საბუნდო მანქანით შეასხას ხორცი ჩემს იდეას და გამოაკრას განცხადებების დაფაზე!
- პირადად რომ გამაქრათ, უკეთესი არ იქნება?
- რომელი ინკვიზიტორი მე მნახე არადა, ხომ უნდა გამოვუტანო საყვედური ვილაცას - უდანაშაულოს თუ დამნაშავეს?!
- იქნებ დამლაგებლით დაგეწყით?!
- ეგ გამორიცხულია!
- დარაჯით?!
- ვინდა, აღარ შემომიშვას სამსახურის ტერიტორიაზე?!
- რევიზორით?!



**შურნალ** „ნიანგის“ 1980 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი სათაურით: „ნიანგი გასტრო-ლებზე“. მასში სხვა ფაქტებთან ერთად აღნიშნული იყო, რომ 1973 წელს ქარელის რაიონის სოფელ ბრეთში დაიწყო კლუბი და იქვე, გვერდით, საბავშვო ბაღის შენობაში შეასახლეს სასოფლო საბჭოს, ფოსტისა და შემანახველი სალაროს თანამშრომლები, ხოლო კლუბი დროებით მოუწყვიათ სათამაშოების ოთახში. ამის შესახებ „ნიანგმა“ ქარელის სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომიდან მიიღო პასუხი, რომელშიც ვკითხულობთ: „წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს ახაზავს... სოფელ ბრეთში ხანძრის შედეგად დამწვარი კლუბის ადგილას, მიმდინარე წელს, აშენდება ახალი შენობა. საბავშვო ბაღის შენობაში დროებით შესახლებული ბრეთის სასოფლო საბჭო და საფოსტო განყოფილება გადავლენ მათთვის აშენებულ ახალ, ტიპურ შენობაში. საბავშვო ბაღის შენობა კი კაპიტალურად შეკეთდება და 1982 წლისათვის გადაეცემა საექსპლუატაციოდ“. (ეს პასუხი გამოქვეყნდა კიდევ ერთხელ „ნიანგის“ იმავე წლის მე-10 ნომერში რუბრიკით — „ნიანგს“ უპასუხებენ“).

ამოცანა გვეკითხება: ხომ არ დარჩა ეს პასუხი მხოლოდ პასუხად? მაშ, თუ ასე არ არის, ამ სოფლიდან კვლავ რატომ წერენ „ნიანგს“ საჩივარს? აი, რას გვწერენ ბაქრაძე, ბიძინაშვილი და ზეკელაშვილები: „თუ იმ კრიტიკულ შენიშვნებზე მიღებული პასუხები ისევე მართალია, როგორც ბრეთის კლუბსა და საბავშვო ბაღზე შიგ წერია, მაშინ, უმჯობესია საერთოდ არ გამოქვეყნდეს ასეთი წერილი და პასუხი...“

იმედია, ქარელის რაისაბჭოს აღმასკომი ერთხელ და საბოლოოდ კიდევ მოგვწერს პასუხს იმის შესახებ, მართალია მათი აღრიწველი პასუხები თუ — არა! და თუ მართალია (კიდევ გვეკითხება ამოცანა), აქვთ თუ არა ბრეთელებს ახალი, კეთილმოწყობილი კლუბი?

„1978 წლის აპრილში რეკონსტრუქციის მიზნით დაიხსრა გალის ცენტრალური საავადმყოფოს ინფექციური განყოფილება. ერთი წლისთავზე, სხვა უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრეს, ამ განყოფილებას დაუთმეს რაიონის ცენტრიდან 8 კმ-ით დაშორებული ქუთურხინჯის სასოფლო საავადმყოფოს მკურნალთა შტატი; ასე რომ, პროფესიონალი ინფექციონისტები ჯერ კიდევ „გამოთავისუფლებული“ ადგილის მოლოდინში არიან. ამ ეგრეთ წოდებულ „ინფექციურ საავადმყოფოს“ არ გააჩნია სათანადო ლაბორატორია. საანალიზო მასალა (საშიში პაქტერიებიტურთ) ცენტრალურ ლაბორატორიაში საზოგადო ტრანსპორტით გადააქვთ!“ — ვკითხულობთ ქურნალ „ნიანგის“ 1981 წლის მე-19 ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ მასალაში „ნიანგი გალის რაიონში“ რუბრიკით —

„ვინ ერთგულია, ვინ არა, ქვეყანამ დაინახოსა!“, 1983 წლის 12 აპრილს კი სათაურით — „ავადმყოფები საავადმყოფოს მოლოდინში“ „ნიანგის“ რედაქციამ მიიღო მკითხველის ფელეტონი, რომელშიც ვრცელადაა მოთხრობილი გალის ინფექციური საავადმყოფოს მთელი ეს საბედისწერო ისტორია.

ამოცანა გვეკითხება: რატომ სდუმან ამის შესახებ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში? ხანტერესოა ისიც — თუ რატომ არაფერი გვიპასუხეს პარტიის გალის რაიონული კომიტეტიდან? იქნებ უკვე აშენდა ახალი საავადმყოფო, მწყობრში ჩადგა და ყველაფერი რიგზეა? თუ ასეა, კვლავ რატომ ჩივიან გალელიები?

იმედია, ამ კითხვებსაც ვასცემენ პასუხს, ვისაც ეს ენება!

„დაპირებას საქმე უნდა ამშვენებდეს!“ — ამ სათაურით ჩვენი ჟურნალის 1981 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მოთხრობილი იყო ბიუროკრატიული უსულგულობის ერთი კონკრეტული ამბავი, კერძოდ — თემქის დასახლების III მიკრორაიონის II კვარტალის № 28 კორპუსის IV საღარბაზოში შვიდი წელია დაშლილია სავენტილაციო არხი. სად არ იჩივლეს მობინადრეებმა, ვის არ მიმართეს თხოვნით, მუდარით, მაგრამ მშვენიერად მავივრად მხოლოდ პასუხები მოსდით — თქვენი საჩივარი გადაეცა მავანს და მავანს და მიღებული ზომების შესახებ გაცნობებოთ.

აღნიშნულ წერილზე „ნიანგმა“ რამდენიმე თვის შემდეგ სახალხო დეპუტატების ლენინის რაისაბჭოს აღმასკომიდან, როგორც იქნა, მიიღო პასუხი (ეს პასუხი გამოქვეყნდა ჟურნალის 1981 წლის მე-12 ნომერში). „სავენტილაციო არხების აღდგენის, ან ახლის მოწყობის საკითხს ამჟამად სწავლობს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საპროექტო კანტორა“, — ნათქვამი იყო პასუხში. ამით დამთავრდა ყველაფერი. სავენტილაციო არხს კი მაინც არაფერი ეშველა. ამის შესახებ „ნიანგმა“ კვლავ გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი სათაურით — „პასუხომანია“ („ნიანგი“ № 1, 1982 წ.) წერილი მთავრდებოდა ასე: „ვის რაში სჭირდება ეს დაუსრულებელი პასუხები? იქნებ, ახლა მაინც გამოიჩინოს პასუხისმგებლობა იმან, ვისაც ეს ენება და საქმით უპასუხოს თავის მიერ მიწერილ პასუხებს?“

მას შემდეგ ორ წელზე მეტი გავიდა. ამოცანა გვეკითხება: ამ ხნის განმავლობაში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საპროექტო კანტორამ შეისწავლა თუ არა ეს საკითხი? ან იქნებ სრულიად გადავიწყდათ თემქელთა გასაპირი? მაინც რატომ სდუმან აქამდე? „ნიანგი“ ელის ამოცანების პასუხს.



— სად გაგიგონია, უდისციპლინო რევიზორი?!

— რა გაეწყობა! გმადლობთ, არისტოფანის, სელეუციისათვის!

— აი, რას ნიშნავს შეგნება! სამაგიეროდ მიველინებაში გაგიშვებ თბილისში, მთელი სამი თვით!

— გმადლობთ, არისტოფანის!

— ახლა წახვალ და თავს დაეცემი რკინიგზის ვოლო... გზლის მოლარეს, ბათუმ-თბილისის მატარებლის რვა ბილეთი უნდა ჩაიგდო ხელში, თანაც აუცილებლად რბილის! გასაგებია? შემდეგ შეივლი იმ მედიკამენტებისათვის, რასაც ექიმები ჯიუტად გვიწერენ, აფთიაქარებს კი ჯიუტადვე „არ შემოსულა“ დაურქმევიათ! ბოლოს და ბოლოს, რა გახდა, კაცო, ეს „კალაოროტატი“ თუ თავსატეხი?! მერე, შენ რომ იცი, იმასთან ზუთნია მოსაკვარა-სჭინებელი, თორემ მაგის გარეშე მართლაც საცოდაობაა ქელები..

— მესმის, არისტოფანის, მაგრამ სამუშაო დროის გაფლანგვას გამოორებით ვინდა მაპატიებს?!

— ჰაიტ, შე დაგლახებულო! ერთმა საყვედურმა მოგდრიკა დევისტოლა ვაჟუკაცი?! ვეფხვაძე მაინც არ იყო გვარად, ლომგულის ძე!

— მივედივარ, არისტოფანის!

— ჰო, ნელა წადი და ჩქარა მოდი! საყვედური პლუს მადლობა ხომ ანეიტრალებს პირველს?! ჰოდა, მეორეც ჩემს ხელთ არ არის?! მთავარია, ირწმუნო ალტერნატივა!

**ვლადიმერ დარჩია**  
(ქ. ბათუმი)



ნუ დაუღვამ-მეთქი... — რამდენჯერ გაგაფრთხილე, ამათ ნამღვილ ღვიძლს

# ნ ე კ რ უ ლ რ ბ ი

ჩვენი რესპუბლიკის ანტიპოდთა რიგებს კიდევ ერთი ღვაწლმოსპრილი უბედურობი გამოაკლდა — ნესტარ გველაძეა. იგი ეკუთვნოდა ქართული „ანონიმური პრესის“ მუშაკთა იმ თაობას, რომელმაც სიურმეში მოჰკიდა კალამს ხელი და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, მაღალი პროფესიონალიზმით ემსახურებოდა სამარცხვინო საქმეს.


თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრებისთანავე (ცურვის ბანხრით) მუშაობა დაიწყო საქ. საკონდიტრო და ნავთობპროდუქტების ბაზაში საქონელმცოდნედ, სადაც ბატატეზით მუშაობდა წლების განმავლობაში.

მის კალამს ეკუთვნის მრავალი ცილისმწამებლური ანონიმური წერილი, რომლებშიც აშკარად იგრძნობა ავტორის მკ. მატლეზული ნიჭი და სულის სიღრმე.

მიღებული ჰქონდა უამრავი „ჭილოდ“ (ქრთამის სახით) და უწყებები შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ვალმოხდელი წავიდა ჩვენგან წვირვასი ნესტარ გველაძეა. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულელებში.

ამხანაგვების ჯგუფი  
მასალა მოიძია ნეკროლოგიური მეცნიერების კანდიდატმა ნიკოლოზ იოსებიაშვილმა

ნ.ს. შ. აბაშიძისა




— მართალია დამალა, მაგრამ კარგ ადგილზე მინდა დავსვა!



ზოგიერთი მუშაკი მხოლოდ იმ საბაბით ამბობს უარს განახორციელოს სასწრაფო ღონისძიებანი, აღმოფხვრას ავარიის შედეგები. აქაოდა, „ჩემს ტერიტორიაზე“, „ჩემს უბანზე“ არ მომხდარაო.

ნახ. ბ. ლომიძისა



— ჩვენთან სიმშვიდეა, უფროსო!

ნახ. ი. ყვინაშვილისა



უხიტყვოდ



უხიტყვოდ

**გეგმა-ღაბა, მსახიობ-მკვლელი**

ჩავვივარდა ერთხანს გეგმა, გვექონდა გაწამაწია, ვთქვით: „უფროსად დავსვათ ჯაბა, საქმიანი კაცია!“

დავსვით ჯაბა და იმ დღიდან დიდი შრომა გასწია — გეგმა დაბლა დაუშვა და ცხვირი მაღლა ასწია!..

**ნათესავიზაჰია**

დანიშნეს და... მაშინვე ბევრი ოფლი აქცია, ჩაატარა ბრწყინვალედ ნათესავიზაჰია!

რეჟისორი  
(ლანჩუთის რ.)

**მიკროგანცხადებები**

**სინდისი** კარგი საქონელია! — ვისაც არა ვაქვთ, შეიძინეთ!

**ვასწავლი** ანთონიმური წერილების შეთხზვისა და წერის კულტურას საკუთარი ხელით!

**ვექავ** სარძლოს, რომლის ენა ფეს-საცმლის ლანჩაზე თხელია!

**ვოგაჰას** ცოლი! ვთხოვთ, მასწავლოთ, სად შევიძინო რქები!

გივი აბურჯანი

**ურაზები**

● კოლმეურნეობაში ჩალის დამზადების საქმე მიაფუჩჩეს.

● სულს ეშმაკს როგორ მიჰყიდდა, როცა სული არ ჰქონდა და ეშმაკიც თვითონ იყო?

● წარმატებებმა თავბრუც რომ არ დაგან-ვიოს, მტრებს მაინც დაგანვევს.

● ჯილდოდ გადაეცა... ქვების სიპები.

● თანამდებობის მიღების შემდეგაც იღებდა.

● ხვალ აქვს დისერტაციის დაწვა.

● მეცნიერული ათეიზმის გამოცდაზე სტუდენტი უღმერთოდ გაწვალდა.

● მთავარია ჭკვიანი ასულელო, თორემ სულელი ისედაც სულელია.

ჯამალ ვეჟა

**აქილეუსს მახათაკის განცხადება**

ქუსლში ეკალი შემერტო, მართლა რომ აქილეუსი ვიყო, სომ დავიღუპებოდი?!

ზ. შუაპაური



**წინათქვა**

ძნელბედობა, ბედშავობა  
ჩვენ რომ გვქონდა, მტრისას!  
სვავებივით თავს გვესხმოდნენ  
ვინ სადა და ვინ სად!  
მაგრამ მაინც ვერ დაგვძლიეს,  
ვერ დაგვწრიტეს სისხლად,  
გვიხსნა შვილთა სიმრავლემ,  
აკვნის რწევამ გვიხსნა.  
ბერბიჭას და შინაბერას  
სად ნახავდით მაშინ,  
დიდ სიმდიდრედ ითვლებოდა  
ბავშვი, მხოლოდ ბავშვი.  
ათი და-ძმა სადილობდა  
ერთ საერთო ჯამში,  
მამულისთვის ფრთიანობდნენ,  
გული ჰქონდათ ჯავშნის.  
ავეჯისთვის კი არ იყო  
ბრძოლა, ღელვა, ხენეშა,  
ერთ ლოგინზე იზრდებოდნენ,  
ერთი საბნის ქვეშა.  
განა ერთი, განა ორი...  
ყვავილობდა მრავლად,  
ყველა ქართველს შვილთა გაზრდა  
ჰქონდა წმინდა ვალად.  
ახლა რაღა დაგვემართა,  
რად გაგვიწყრა ღმერთი,  
ან სულ არ გვყავს, ან გვყავს ერთი,  
ერთი, მხოლოდ ერთი...  
ბერბიჭები გაგვიმრავლდნენ,  
შინაბერაც მრავლობს,  
ლაჩრებივით გაურბიან  
სიყვარულის ალღოს.  
ხმით დაეტირით მიცვალებულს,  
გულში გვრჩება სევდად,  
თუმცა ვინაც ცალფად დადის,  
ვინც ბერდება კენტად,  
იგი არის სატირალი  
მკვდარზე უფრო მეტად.



**ხმით ნატირალი გერბიჭაზე**

ბიჭს ცუდი არაფერი გემჩნეოდა,  
ყელს ყვინჩილასავით იღერებდი,  
გვეგონა, სამამულო რქა იყავი,  
ყველა შეგყურებლით იმედებით.  
ისწავლე,  
დიპლომი ჩაიჯიბე,  
კარიერაც მონახე შესაფერი,  
მარტო დიპლომი რაა თურმე,  
კაცობა ყოფილა ყველაფერი.  
ბევრი „გულისტოლი“ გააცურე,  
ბევრს მიუახლოვე აგონია;  
ოჯახის შექმნას გული უნდა,  
შენ თურმე გული არ გქონია.  
ღედა რძლის ლოდინში გაისტუმრე,  
მამას შვილიშვილი არ აღირსე,  
დარჩი გასხეპილი თხმელასავით,  
უკვე არაფერი გახალისებს.  
ნანობ, მაგრამ უკვე გვიანია,  
აწ რომც დაქორწინდე, რაღად გინდა.  
თავი ჭაღარა თმამ დაგიმძიმა,  
თვალეში ჩაგიდგა წლები ბინდად.  
დაჯდები, ფიქრები მოგესევა,  
ნაღვლიანად უმზერ მზიან სერებს;  
ვაი, რისთვის მოხველ ქვეყანაზე,  
რომ წახვალ, ვინღა გაგიხსენებს?!

**ხმით ნატირალი აპორტმასხარზე**


ნუ გეგონება შენ გტიროდეთ,  
შენთვის გვდიოდეს ცრემლი მუდამ,  
იმ პაწაწინა ქართველებს დაესტირით.  
შენი ხელით რომ განადგურდა.

ფულმა თვალები დაგიბნელა,  
ფულმა გონება გაგიმრუდა,  
ვაი, ასე როგორ გადაგვარდი,  
მკერდში გულის ნაცვლად გაქვს  
ქვის გუნდა!..  
არც შეყოყმანდები: გაწირავ პაწიას,  
ჯერ თვალუხილავს და უჩინოს,  
მსხვერპლის ბრიყვ ღედას სათუთად  
ეფერები,  
იქნებ მეტი მოგცეს,  
გულჩვილობ.  
აფსუსს, შენ ექიმი უნდა გერქვას?  
შენ თეთრი ხალათის არ ხარ ღირსი:  
ახლოს ნუ მოდიხარ, არ დამსვარო,  
ხელები სველი გაქვს ბალღის  
სისხლით.

**ხმით ნატირალი შინაბერაზე**

როცა ყვაოდი და ყვავილობდი,  
მადლი სიყვარულის არ ირწმუნე;  
ერთი დაიწუნე,  
მეორე დაიწუნე,  
ვაი, ეს რა ჰქვხი: მესამეც დაიწუნე!..  
ზოგიერთის ცხვირი არ მოგწონდა,  
ზოგის გამოხედვა, ლაპარაკი,  
ზოგიერთს მოსთხოვე ბრილიანტი,  
ზოგს ავტომანქანა და აგარაკი.  
ყველას მედიდურად უყურებდი,  
ტუჩებს იბზუებდი კონტაპრუწად,  
ყოყმანში წლები გაგიფრინდა,  
დარჩი უნაყოფოდ,  
დარჩი ურწუნად.  
მტევანივით მკერდი ჩამოგიტყნა,  
ზედ ჩვილი არასდროს შეგხებია,  
შენს ტოლებს შვილები ახარებენ,  
ზოგს შვილიშვილებიც ეხვევიან.  
დახვალ უგუნებოდ, ნერვებაშლით,  
შავად გეჩვენება ბრიალა მზეც;  
ვაი, სიცოცხლეო გაფლანგულო,  
ვაი, დაკარგულო სილამაზე!..





— დავიღუბეთ, ჩვენი ქათმები თბილი ქვეყნებისაკენ გაფრინდნენ!

### ლექსი ჭორიკანაზე

ცხელ ამბებზე რომ ნადირობს ლაზლანდარა  
 „ორატორი“,—  
 მისი ყური ირგვლივ ჭორებს, იჭერს, როგორც  
 ლოკატორი.  
 ენაჭარტალობის ჩანთას სადაც იყოს, გატენის,  
 მის გარშემო თუ რა ხდება, იჭერს ყველა ანტენით.  
 პო, ყბედობის ჩანთას ჭორით ის მალ-მალე  
 ადავსებს,  
 მას სმენა აქვს მომართული ცრუ ამბების  
 ტალღაზე.  
 თანამოლაყბეს იშოვის, მასთან მთელი დღე  
 ლაყბობს,  
 ზოგის ყოფნის ხეს ანედლებს, ზოგის ყოფნის  
 დღეს ახმობს!..  
 ენაჭარტალობს თქვენს ახლოს, კაფავს ჭორების  
 ახლოს,  
 გაკიცხეთ, დაგმეთ, იფრინეთ, თუკი ის სადმე  
 ნახოთ!

### ვიორგი შთაქაური

### წ ნ ე ვ ა

**ვეთართმავა** სართულზე წყალი არ მოდის. ვრეკავ  
 წყალკანალტრესტში.  
 — წყალი გვაქვს, მაგრამ თქვენთან არ ამოდის. არაა წნევა!  
 — წნევა მე არ მეხება, ამხანაგო! ფულს ვიხდი? — ვიხდი!  
 წყალი მჭირდება? — მჭირდება! დანარჩენი თქვენი საქმეა, და-  
 მესმარეთ!..  
 გათბობა შეწყდა.  
 — რაშია საქმე, ამხანაგებო? ვიყინებით!..  
 — ცხელი წყალი გვაქვს, მაგრამ მეთერთმეტე სართულზე  
 არ ამოდის. არაა წნევა!  
 — წნევა მე არ მეხება, ამხანაგო! მიშველეთ, დამესმარეთ!..  
 ლიფტი არ მუშაობს. მეთერთმეტე სართულზე ფეხით ავდი-  
 ვართ. თავს ცუდად ვგრძნობ!..  
 — მიშველეთ!..  
 სასწრაფო დახმარების ექიმი მსინჯავს.  
 — არ გაინძრეთ! წნევა გაქვთ!..  
 ეს წნევა შემეხო! ბედი არ გინდა ყველაფერში?! ვინ მიშ-  
 ველის, ვინ დამესმარება?!

ლეონ სულავა  
(ქ. ქუთაისი)



### ქვირფასო ნიანგო!

თბილისიდან კომინიოვის, ასურეთისა და ზეკარის ქუ-  
 ჩების მცხოვრებნი გაწუხებთ: ჩვენს უბანს აკავშირებს  
 კურსების ქუჩა, რომელიც ხუთი წელია, რაც დანგრე-  
 ულია და მანქანით კი არა, ფეხით სიარულიც კი გვი-  
 ჭირს. საჩივრით მივმართეთ ოქტომბრის რაიადმასკომს,  
 საიდანაც მივიღეთ ასეთი პასუხი: „გაცნობებთ, რომ აღ-  
 ნიშნულ ქუჩას რემონტი ჩაუტარდება მიმდინარე წლის  
 მესამე კვარტლის ბოლომდე“ (ტექსტი დაცულია!) ეს  
 იყო გასული წლის ივლისში. მას შემდეგ ნახევარ წელზე  
 მეტი გავიდა, მაგრამ ჩვენი ქუჩა არავის არ გახსენებია...  
 მეეზოვე თვეში ერთხელ გამოჩნდება ხოლმე ახალ მთვა-  
 რესავით, ირგვლივ ანტისანიტარიია...  
 გთხოვთ, შეახსენოთ ჩვენს რაიადმასკომს, რომ დაპი-  
 რებას შესრულება უნდა!

ცხინვალის რაიონის სოფელ ქარწემში ოცი წლის  
 ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, აშენდა კლუბი, მაგ-  
 რამ ვერა და ვერ მოხერხდა კინოდანადგარის დამონტა-  
 ჟება, რის გამოც მექანიკოსი იძულებულია დანადგარი  
 ზურგით მოიტანოს და ისევ უკან წაიღოს. ხშირად კი,  
 კინოს ქუჩაში ან ეზოში ვუყუარებთ...  
 გვაქვს მეორე გასაკვირიც: სოფელში გვეყავს გამოცდი-  
 ლი ექთანი, მაგრამ არ გააჩნია კეთილმოწყობილი, ხორ-  
 მალური მედპუნქტი, სადაც შეიძლებოდა ავადმყოფთა  
 მიღება.

გვიშველე რამე, ძმაო ნიანგო!

სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგასა და კარდენახს  
 ერთი ხრამ-ხევი ყოფს შუაზე, ამ ხრამში რალას არ ყრიან  
 ახლომანლო მცხოვრებნი — ძველმანებს, პროდუქტის  
 ნარჩენებს, უვარგის ნივთებს. მთელი ეს არემა რე უზარ-  
 მახარი ანტისანიტარიის კერადაა ქცეული. იქვე სახელ-  
 დახელოდ მოწყობილია ინდივიდუალური საყასბო, ყი-  
 დიან ხორცს და ნარჩენებს ყრიან ხრამში. ეს ამბავი არც  
 ერთი სოფლის თავკაცს არ აწუხებს, არადა, მათი დახ-  
 მარებით შეიძლება აქ შესანიშნავი ხეივანი გაშენდეს  
 და ორი სოფლის საზღვარი გალამაზდეს.

ნიანგო, უთხარი ერთი შენებური სიტყვა ანაგისა და  
 კარდენახის მესვეურებს, ამ სოფლების მიჯნაზე მცხოვ-  
 რებლებსაც მოგვხედონ.

კარგი საქმე წამოიწყეს დღემთში ამ სამიოდე წლის  
 წინათ — ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში გაჰყავთ წყალ-  
 კანალიზაციის მილები, მაგრამ მისი დამონტაჟება  
 ჭინაურდება. წვიმის დროს ქუჩები ატალახებულია, კარკ  
 ამინდში მტვრის ბული დგას.

ძმაო ნიანგო! იქნებ დღემელ მშენებელ-მემონტაჟეებ!  
 დააჩქარებინოთ დაწყებული საქმე?

# ნათქვამი

## პარიერისტი ნახვრა

მალა, მალა ასვლას ვნატრობ,  
ფხიზელი თუ ნასუადი,  
თილშიც, ცხადშიც მეღანდება  
კაბინეტი და სკაძი!

## მეჭრთამის ჩივილი

თვალეები ცრემლით მეცეხა,  
რად შლანძღაუთ, თქვენი  
კენესამე?!  
მე ფულებს ვიღებ საჩუქრად,  
თქვენი კი მიწოდებთ მეჭრთამეს!

## ენის ბასბაქანი

კოლექტივის თავმჯდომარე  
აქებს ფერმის გამგეს,  
ფერმის გამგე მისთვის ხარშავს  
იმე ფერმის ქათმებს.

## ვიქტორ ლეჟავა

## პაციფისტის მიმართვა

ვინც ჩემს იდეოლოგიას არ  
გაიზიარებს, დუელში ვიწვევ!

## შეგონება

— იყო ერთი კაცი, რომელსაც  
ყოველი ცნოვრებისეული წვრილ-  
მანი გულთან ახლოს მიჰქონდა,  
რითაც ამ უკანასკნელის ინფარქ-  
ტი გამოიწვია.  
ექსტრასეროიზულობა არასე-  
რიოზულობის სიმპტომია!

## მვოლუტინავ, ძალსა უმნსა!..

**კაცი:** მაიმუნო, რად გინდა  
სათვალე?  
**მაიმუნი:** გამოვიყენებ ორიო-  
დე მილიონი წლის მერე.  
**მორალი:** ასეთი ოპტიმისტი  
მაიმუნები კაცისთვის განკუთვ-  
ნილ წიგნებსაც ყიდულობენ!

## ნიჰი სიყრმეშივე იჩენს თავს

— საკვირველია პირდაპირ,  
შალვას ფანტასტიკურმა მოთხრო-  
ბებმა მსოფლიო აღიარება პოვა.  
— რა არის აქ გასაკვირი? შალ-  
ვა ბავშვობაშიც მავარი ცრუბენ-  
ტელა იყო.

ზურაბ შუკაკაძე

## აზრები

- ქუდს ნამუსისთვის კი არა,  
სითბოსათვის ატარებდა.
- ნაჩუქარ ცხენსაც კბილებს  
უსინჯავდა.
- აკრძალულ ხილს სულ ჩად-  
გმული კბილებით კბეჩდა.
- ძილის წინ ჰაერზე გასეირ-  
ნების ყადრი იცოდა და სამუშა-  
ოზე ფეხით მიდიოდა.
- ჭირითში ცხენმა მოიკლა  
თავი და პრიზი მხედარს ერგო.
- მეშჩანობის მორევში მოხ-  
ვედრის მატერიალური საშუალებ-  
ა ყველას არა აქვს.
- თუ გინდა ცოლი ანგელოზი  
გყავდეს, სამოთხე მოუწყვე.
- თუთიყუშმა თუ ერთი სა-  
კუთარი სიტყვა მაინც თქვა, არ  
შეიძლება ის უნიჭობა იყოს.
- ვირის ყურებით ვირის ლან-  
ძღვის მოთმენა უაზროა.
- ცხრაფეხს ცეკვით ვერ  
დალლი.
- ცხენის კომპასი მათრახია.
- ერთი ციციანთელა სოფელს  
ვერ გაანათებს.
- კურდღელი, თუ არ შეაშინე,  
ფორმას ვერ შეინარჩუნებს.

ავთანდილ ქიმერიძე  
(ქ. ბათუმი)

## პარადოქსები

- დიდ ხელფასს იღებს გერვასი,  
სასახლე რომ აუგია?!
- რას ამბობ, ძმაო, ხელფასი  
ერთხელაც არ აუღია!
- იმდენი წიგნი ჰქონია,  
ტევა აღარ აქვს კარადებს!
- წიგნი რომ უყვარს, ამიტომ  
ზოგავს და... თითსაც არ ადებს!
- როცა გამდიდრდა ცუცუნის,  
მაშინ დაიწყო წუწუნის!
- მშიაო, — უყვარს ამის თქმა  
მას, ვინც ვერ სუნთქავს  
ჭამისგან!
- დიდ ქალ შაირთო სიბიტომ!
- თვით დაბაღ როა, იმიტომ!
- ის ქვეყნის საქმეს არჩევდა,  
თავად... მთქნარებას არჩევდა!

იური ხიდუშელი



სატირისა და იუმორის ჟურ-  
ნალი „ნათქვამი“ № 4 (1662),  
თებერვალი. გამოდის 1923  
წლის ივნისიდან.

## მთავარი რედაქტორი ზაურ ზოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

**ავთანდილ აღიშვილი**  
(პასუხისმგებელი მდივანი).  
ქაბუა ამირჯინი, ნოზალი  
ბართია, ბორის გურგუ-  
ლია, ნოდარ დუმბაძე, რე-  
ვაზ თვარაძე, ჭემალ ლო-  
ლუა, ნოდარ მაღალაშვილი  
(მხატვარ - რედაქტორი),  
ალექსანდრე სამსონია,  
ხეყან სიხარულიძე (მთავარი  
რედაქტორის მოადგილე),  
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ  
წიფიფიძე, ნაფი ჭუსოთი.

ტენჯიკური რედაქტორი  
ნახეილ კუჭალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 27.1.  
84 წ. ხელმოწერილია და-  
საბეჭდად 21.2. 84 წ. ქა-  
ლოდის ზომა 60X90',  
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-  
ლი, 1,25, სააღრიცხვო-სავა-  
მომცემლო თაბახი 1,7, სა-  
ქართველოს კბ ცკ-ის გა-  
მომცემლობა, ლენინის, 14.  
მეკვეთა № 246. უფ 07844  
ტირაჟი 138.300. უფრნალი  
გამოდის თვეში ორჯერ.  
რედაქციაში შემოსული მა-  
სალები ავტორებს არ უბ-  
რუნდებათ.

ჩვენს მისამართი: 880008.  
თბილისი-8 რუსთაველის  
პროსპექტი № 42.  
ტელეფონები: მთავარი  
რედაქტორის — 99-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის —  
93-19-42, პ/მგ მდივნის —  
93-10-76, მხატვარ-რედაქ-  
ტორის — 99-02-38, გან-  
ყოფილებათა გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
რეშუაების — 99-02-38,  
მდივან - მემანქანის —  
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-  
ский журнал «НИАНГИ»  
(На грузинском языке)  
Тбилиси, пр. Руставели  
№ 42. Издательство ЦК  
КП Грузии, Типография  
издательства ЦК КП  
Грузии, Тбилиси, улица  
Ленина № 14.

შპსი შპ კაპიტი  
056მასი 76137

